საქართველო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 45 1442

08/10/2020

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა'' პუნქტის , 54-ე მუხლის პირველი ნაწილის დ.დ) ქვეპუნქტის, ,,ე'' პუნქტის, ,,ე.ე'' ქვეპუნქტის და 122-ე მუხლის პირველი და მე-6 ნაწილების, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 07 ოქტომბრის N46 48 (რეგ: N5518/45, 07.10.2020 წ.) განკარგულების საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1. გადაეცეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში - ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა N117-ში მდებარე (ს/კ N33.09.36.038) შენობის პირველ სართულზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 3 (სამი) ოთახი, ჯამში 38.70 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი, №49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიის სრულფასოვანი ფუნქციონირების მიზნით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არსებობის ვადით.

მუხლი 2. დაევალოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს უზრუნველყოს უზუფრუქტის ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის მომზადება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7) კანონით დადგენილი წესით.

მანუჩარ რობაქიძე

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი